თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა

მოზარდების (15-17 წლები) პროგრამა

ეფექტური და პროდუქტიული მოზარდის აუცილებელი ჩვევები და საფუძვლები

აუდიტორია: 15-დან 17 წლამდე მოსწავლეები და აბიტურიენტები;

მოსწავლეთა რაოდენობა: 25 მოსწავლე;

კურსის მოცულობა: ხანგრძლივობა - 4 თვე; ლექციების რაოდენობა - 18; ტრენინგების რაოდენობა - 18; ლექციის ხანგრძლივობა - 2 ასტ. საათი; ტრენინგის ხანგრძლივობა - 1,5 ასტ. საათი; კვირის მანძილზე გათვალისწინებულია ერთი ლექციისა და ერთი ტრენინგის ჩატარება.

კურსის მიზანი: კურსის მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდებს სწორი პიროვნული და კარიერული ორიენტირის არჩევა-განსაზღვრაში, პიროვნული ეფექტიანობის ჩვევების ჩამოყალიბებასა და დახვეწაში, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე.

მოკლე აღწერა: ინოვატორული სასწავლო კურსი მოზარდის სუპერვარსკვლავობაზე სკოლაში, მეგობრებთან, ოჯახში და საზოგადოებაში, ითვალისწინებს მოზარდების სრულ ორიენტაციასა და მათთვის ჯანსაღი მიმართულების მიცემას, რათა მათ შეძლონ გარე, როგორც მტრულ, ასევე კეთილგანწყობილ სამყაროსთან წარმატებული ურთიერთობა და გამარჯვება. კურსის ამოცანაა, დაეხმაროს ჩვენს მოზარდებს ეფექტური პიროვნებისათვის აუცილებელი საფუძვლების ჩამოყალიბებაში, რომ ისინი იყვნენ სრულად მომზადებული ყველაზე კონკურენტული გარემოსთვის. მოზარდები „უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლაში“ შეისწავლიან გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას, ანალიტიკურ აზროვნებას, კონფლიქტის განმუხტვას, გუნდურ გარემოში ოპერირებას, პრობლემების გადაჭრას, კრიტიკული ამოცანის დასახვას, წინამძღოლობას. სკოლა მოზარდებს მისცემს მკაფიო მიმართულებას ნაბიჯ-ნაბიჯ, რათა მათ დაძლიონ არასრულფასოვნების კომპლექსი საკუთარ თავში, ჩამოიყალიბონ საკუთარი თავის ჯამრთელი იმიჯი, შეძლონ ფასეული მეგობრობის შემენა, არ დაითრგუნონ თანატოლების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეწოლა/პრესინგისაგან, აირჩიონ მოკლე და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, შეძლონ წინაღობების გადალახვა, გააუმჯობესონ ურთიერთობა მშობლებთან, ისწავლონ დროისა და საკუთარი თავის ეფექტური მენეჯმენტი, დანარჩენ სამყაროსთან აქტიურ კომუნიკაციაში შესვლა და სხვა მრავალი ჩვევა. „კავკასიის ლიდერთა სკოლის“ ინტენსიური სწავლება იქნება საფუძველი მათი, როგორც ეფექტური და ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებისა,

ასევე მათთვის სისხლსავსე ცხოვრების კულტივირებისთვის აუცილებელი ამუნიციის მიცემისა.

სწავლების მეთოდი: სწავლება წარიმართება ლექციებისა და ტრენინგების (სამუშაო ჯგუფური შეხვედრები) მეშვეობით. კურსი ითვალისწინებს 15 ლექციას მოზარდებისთვის, 3 ლექციას მშობლებისთვის. ლექციები ჩატარდება პრეზენტაციების ფორმატში, ტრენინგები - არაფორმალური განათლების საერთაშორიშო სტანდარტებით დადგენილი პროცედურებით, სადაც გარემო უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას დისკუსიებში და მის აქტიურ მონაწილეობას სალექციო თემების განხილვაში. კვირაში ერთხელ გაიცემა დავალება, რომლის შესრულებაც, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ჩამოყალიბებას, სხვადასხვა სახალისო ამოცანების ამოხსნას და პრეზენტაციების მომზადება/წარმართვას უკავშირდება.

სერტიფიცირება: სერთიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ სტუდენტებზე, რომლებიც წარმოადგენენ პიროვნული ზრდის პორტფოლიოს (დამაკმაყოფილებლად შესრულებული ყველა მიცემული დავალების კრებული, რეკომენდაციები)

სალექციო თემატიკა:

1. წარმატების პრაქტიკული ფილოსოფია - საკუთარი თავის შეცნობის აუცილებლობის დასაბუთება და პროცესის დაწყება. შიშის ილუზიურობა, უკუკავშირის ანალიზი, სოციალური წნეხის ნიველირება;
2. სუბიექტური რეალობა, პარადიგმა, ფასეულობები და პრინციპები;
3. მოზარდების პროდუქტიულობის ფორმულა - P/PC ბალანსი, ემოციური საბანკო ანგარიში, ნდობის რეზერვის შექმნა ურთიერთობებში;
4. მოზარდის აქტიური, ეფექტიანი ქცევის სისტემა;
5. ხედვისა და მომავლის სურათის ჩამოყალიბება, მისიის განაცხადის შექმნა;
6. პრიორიტეტების მართვა და მათი აღსრულების დისციპლინა;
7. ეფექტიანი კომუნიკაცია, მეტყველების ხელოვნება;
8. მოგება-მოგებაზე ორიენტირებული აზროვნების სქემა/სინერგია.

ლექციები მოზარდების მშობლებისთვის

9. პარადიგმა;
10. ემოციური საბანკო ანგარიში, P/PC ბალანსი;
11. პრაქტიკული რჩევები და გასაუბრება შვილების შესახებ.